კომპლექსური დავალება:

ღია ბარათი თემაზე: ,,ჩემი ბავშვობის ფოტოსურათი”.

მისწერე შენს უახლოეს მეგობარს ღია ბარათი, რომელშიც აღწერ ერთ-ერთ საყვარელ ფოტოსურათს/სელფის შენი საოჯახო ალბომიდან ან მობილური ტელეფონის გალერეიდან, სადაც უფრო პატარა ხარ, ვიდრე ახლა. ღია ბარათი შესაძლოა შექმნა როგორც თაბახის ფურცელზე, ისე ელექტრონულად.

ამისათვის გამოიყენე ფოტოს აღწერისთვის საჭირო ლექსიკური (a photo/a selfie, a photo album, to describe, a childhood photo, to take a photo, to dress up, to be in disguise; Feelings: happy, sad, bored, excited, surprised, shocked etc.) და გრამატიკული მასალა (The Past Simple of the verb to be – was/were; The Past Simple of regular and irregular verbs.).

ფოტოსურათის/სელფის აღწერის დროს თვალსაჩინოდ წარმოაჩინე:

- მიზანი და აღრესატი;
- რამდენი წლის იყავი, როდესაც ეს ფოტო გადაიღე/ვინ გადაგიღო; სად იყავი, ვისთან ერთად;
- როგორ გამოიყურები, როგორი განწყობა გაქვს ფოტოზე და რამ გამოიწვია ეს განწყობა;
- აბზაცის წერის, მართლწერისა და პუნქტუაციის წესები;

დავალების წარდგენის შემდეგ იმსჯელე:

- რამდენად ეფექტიანად შეძელი ფოტოსურათის/სელფის აღწერა შენს მიერ შექმნილ ღია ბარათში? რამდენად ეფექტიანად გამოიყენე საჭირო ენობრივი საშუალებები და წერითი კომუნიკაციის გრაფიკულ-მაორგანიზებელი საშუალებები? (მკვ.1);
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით აითვისე საჭირო ენობრივი მასალა? რამდენად ეფექტიანია შენ მიერ შექმნილი ღია ბარათი? (მკვ. 2)
- რომელმა სტრატეგიებმა შეგიწყო წინსვლაში ხელი? რომელი სტრატეგიების გამოყენება დაგეხმარება უკეთესი შედეგის მიღწევაში? (მკვ. 3)